ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება #162

09 აგვისტო 2018 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და 34-ე მუხლის შესაბამისად, ასევე, “ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 03 იანვრის #1 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 02 აგვისტოს #9536-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა, დანართი #1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტან–ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ლევანი ონიანი

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი #1

#	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება / დანიშნულება	ფუნქციური ზონები	საკადასტრო კოდი	მისამართი	მიწის ნაკვეთის /შენობის ფართობი კვ.მ.	აუდიტის მიერ განსაზღვრული საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)	30%, ზე-ს ოდენობა (ლარი)	5%, ზიჯი-ს ოდენობა (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო ან პირობებიანი)	შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის პერიოდი	შენიშვნა
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;	სზ-3	02.05.07.946	ქალაქი რუსთავი , ქუჩა გომელაური, #14 მიმდებარე ტერიტორია	655	19 400	5 820	970	საკუთრების მოწმობის აღებიდან 2 (ორი) წლის ვადაში მშენებლობის განხორციელება	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	საჭიროების შემთხვევაში, შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში მყიდველი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მათ გადატანას
2	შენობა-ნაგებობა #1	სზ-5	02.02.02.563	ქალაქი რუსთავი, მე-18 მკრ, მიმდებარე ტერიტორია	672.85	55 000	16 500	2 750	საკუთრების მოწმობის აღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში მყიდველმა დაიწყოს შენობა-ნაგებობა #1-ის დემონტაჟის პროცედურები და დემონტაჟის დასრულებისთანავე უზრუნველყოს ნარჩენი მასალის გატანა და ტერიტორიის დასუფთავება.	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	საჭიროების შემთხვევაში, ხაზოვანი კომუნიკაციის გადატანას გამარჯვებული უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.